სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. მცხეთა 25 ივნისი 2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ილია რუხაძე - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი ხვისტანი - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი- კომისიის წევრი;

გოგი აბუაშვილი - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი-კომისიის წევრი;

ეთერ გელაშვილი - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი -კომისიის წევრი;

დავით ოსეფაშვილი - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი-კომისიის წევრი;

ედუარდ ჯალაღონია - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი.

გიორგი ელოშვილი - ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, დამხმარე ჯგუფის თავმჯდომარე;

არჩილ ღარიბაშვილი - ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, დამხმარე სამუშაო ჯგუფის წევრი;

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიაში მოწვეულ არიან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე-მამუკა გონგაძე და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ანალიტიკის განყოფილების უფროსი- დავით ჩხეიძე.

დღის წესრიგი:

ქალაქ მცხეთის სიმბოლიკის, გერბის და დროშის შესყიდვაზე გამოსაცხადებელი კონკურსის საკონკურსო პირობების დამტკიცება.

კომისიის წევრებმა განიხილეს ქალაქ მცხეთის სიმბოლიკის, გერბის და დროშის შესყიდვის მიზნით საკრებულოს 2015 წლის 17 ივნისის N71 განკარგულება საკონკურსო პირობების დამტკიცების თაობაზე.

კომისიამ დაადგინა: დამტკიცდეს შემდეგი საკონკურსო განცხადების პირობები:

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს კონკურსს ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბის და დროშის) სახელმწიფო შესყიდვაზე, კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა მოქალაქეს გარდა საკონკურსო კომისიის წევრებისა.

2. შესყიდვის ღირებულება შეადგენს 1 000 (ერთი ათასი ლარს დ.ღ.გ. ჩათვლით).

3. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერზე (http://procurement.gov.ge)

4. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი. (ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია:ს.კ 236098833)

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

5. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-3 ან მე-4 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამის უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მა უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაშ უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

8. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2015 წლის (ივლისს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ.136.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდე კონკურსანტს.

11. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს საკონკურსო წინადადება, ალტერნატიულ წინადადებები არ განიხილება.

12. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის ღირებულებას 1000 (ერ ათასი) ლარს არ განიხილება.

13. საკონკურსო პირობებთან განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდ მისამართზე: ქალაქი მცხეთა, აღმაშენებლის ქ. N 136, მობ. ტელ. 577600280 ქეთევან ეკალაძე.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს- ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბის და დროშის) საუკეთესო პროექტების შერჩევა.

დასრულებული პროექტი უნდა მოიცავდეს:

გერბისა და დროშის პროექტები შექმნილი უნდა იყოს ჰერალდიკის კანონების გათვალისწინებით და შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდეს შემდეგ პრინციპებს:

ა) ჰერალდიკური მემკვიდრეობითობა;

ბ) ტერიტორიის ისტორიული მემკვიდრეობა;

გ) ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა;

დ) ადმინისტრაციული ერთეულის მახასიათებელი ისტორიული, ეთნოგრაფიული ან მითოლოგიური ნიშანი (სიმბოლო).

1. გერბის და დროშის პროექტების შესრულება დასაშვებია ნებისმიერი სახვითი საშუალებით და კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით.

2. საკონკურსო პროექტს კონკურსანტი წარმოადგენს კონვერტით, რომელსაც უნდა ეწეროს კომისიის დასახელება და მისამართი. კონვერტში მოთავსებული თითოეული პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ზომის ფორმატზე ზედა მარჯვენა კუთხეში ავტორის დევიზის (კოდის) მითითებით და უნდა ერთვოდეს მოკლე შინაარსობრივი აღწერა-დასაბუთება.

3. წარმოდგენილ კონვერტში უნდა იდოს მცირე ზომის დალუქული კონვერტი, რომელზეც ზემოდან აღნიშნული იქნება ავტორის დევიზი (კოდი), მასში მოთავსდება ავტორის პირადი საკონტაქტო ინფორმაცია, რეკვიზიტები.

4. კონკურსში მონაწილეობა დასტურდება კომისიის მიერ გერბისა და დროშის დალუქული კონვერტის მიღებით, რაც ამავდროულად ნიშნავს, რომ კონკურსის ზემოთ ჩამოთვლილი პირობები მისაღებია კონკურსანტისათვის.

კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები

1. გამარჯვებული პროექტები გადადის კონკურსის ორგანიზატორების საკუთრებაში საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ხოლო ყველა სხვა პროექტი მოთხოვნისთანავე უბრუნდება ავტორს.

დამატებითი მოთხოვნები (ნიმუში):

ა) გერბი გამოსახული უნდა იყოს ჰერალდიკურ (ფრანგულ) ფარზე ; (იხ დანართი 1);

ბ) გერბის ფარის ზემოდან უნდა მოთავსდეს ტერიტორიული ერთეულის გამომსახველი ვერცხლის ოთხ კოშკიანი, ქონგურებიანი გვირგვინი;

გ) თვითმმართველი ქალაქის გერბს უნდა ჰქონდეს შესამკობელი. (იხ დანართი 1);

დ) დევიზის ბაფთაზე უნდა გამოისახოს წარწერა: „ ქალაქი მცხეთა"; (თვითმმართველი ქალაქის სახელწოდება).

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიაში მოწვეულ არიან ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე-მამუკა გონგაძე და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ანალიტიკის განყოფილების უფროსი- დავით ჩხეიძე.

შედეგების გამოცხადების ვადაა: 2015 წლის 16 ივლისი.

კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდება ხელშეკრულება საბოლოო სახით გერბის და დროშის წარმოდგენაზე.

ხელშეკრულების გაფორმებიდან ხუთ დღეში კონკურსანტმა უნდა წარმოადგინონ სიმბოლიკის საბოლოო სახე და ელექტრონული ვერსია.

ელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გაძარჯვებულ კონკურსანტთან ელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულების პროექტი

ერთის მხრივ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ ნემსიწვერიძის სახით და მეორეს მხრივ,_____(შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი _____სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ქალაქ მცხეთის გერბის და დროშის პროექტის შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან -- კალენდარული დღის განმავლობაში

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ საკონკურსო კომისიის წევრები.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, აღმაშენებლისქ.136

5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2015 წლის_____

6. მხარეთა უფლება- მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზერუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7. 1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს საკონკურსო კომისია.

7.2 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლემამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

0.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის _____ და მოქმედებს 2015 წლის _____ ჩათვლით.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

აღნიშნულ პირობებს ვადასტურებთ ხელმოწერით:

კომისიის თავმჯდომარე: ი. რუხაძე

კომისიის წევრები: ა. ღარიბაშვილი

გ. ელოშვილი

გ. ხვისტანი

გ. აბუაშვილი

დ. ოსეფაშვილი

ე. გელაშვილი

ე. ჯალაღონია